

სტუდენტური კონფერენციის შესახებ

2006 წლის 23 ივნისს, პარასკევს, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მისამართი: ჭავჭავაძის 1, ივ.ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზი) ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია თემაზე: “კორუფციის აქტუალური საკითხები საქართველოში”. კონფერენცია ორგანიზებული იყო ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის კავკასიის ოფისისა და თსუ-ს სოციალურ-პოლიტიკური ფაკულტეტის, პოლიტოლოგიის დეპარტამენტის მიერ. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თსუ-ს ჟურნალისტიკის, იურიდიული, პოლიტოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტებმა, მაგისტრანტებმა და მაგისტრებმა. ველა მონაწილემ წარმოადგინა მოხსენების ელექტრონული ვერსია შესრულებული **Power Point**-ის პროგრამაში.

კონფერენციის მუშაობას დაესწრო თსუ-ს პრორექტორი, ივანე ბოკერია. მან კონფერენციისადმი მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა კორუფციის თემის აქტუალობა როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. მან მხარდაჭერა აღუთქვა პოლიტიკური კორუფციის შესწავლას და გამოხატა იმედი, რომ მომავალშიც გაგრძელდება კვლევითი სამუშაოები ამ სფეროში.

თამარ ლოლაძის, ჟურნალისტიკის დეპარტამენტის 1 კურსის სტუდენტის მოხსენება “კორუფციის საერთო მახასიათლები, წარმოშობის მიზეზები და განვითარების ფაქტორები” ეხებოდა პოლიტიკური კორუფციის თეორიულ საკითხებს. განხილული იყო ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორცაა კორუფციის დეფინიცია, კორუფციის ისტორიული გენეზისი, წარმოშობის მიზეზები, ხელშემწყობი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. მოხსენება ატარებდა ზოგად თეორიულ ხასიათს და არ განიხილავდა ერთი რომელიმე ქვეყნის მოდელს.

ირაკლი ხვადაგიანის, ჟურნალისტიკის დეპარტამენტის, 1 კურსის სტუდენტის, მოხსენება ეხებოდა ორგანიზებული დანაშაულის საკითხებს საქართველოში. მან გააკეთა ამ ინსტიტუტის განვითარების მეტად საინტერესო ისტორიული მიმოხილვა და აღნიშნა, რომ

ორგანიზებული დანაშაულის აღზევება ტრადიციულად ხდებოდა სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ზნეობრივი ფასეულობების დაკნინების პირობებში. ორგანიზებული დანაშაულის უპრეცედენტო მასშტაბები საქართველოში ეღუარდ შევარდნადის მეთაურობის პერიოდში დაფიქსირდა, როდესაც კანონიერ ქურდს, ჯაბა იოსელიანს ეკავა სახელმწიფო აპარატში წამყვანი თანამდებობები, ხოლო გარდაცვალების შემდეგ კი დაკრძალული იყო საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. მომხსენებელს მსმენელებმა დაუსვეს რამდენიმე შეკითხვა, მათ შორის, ძალაუფლების ეფექტურობისა და კორუფციის აღზევების თანაფარდობის შესახებ.

გიორგი თაბაგარის, პოლიტოლოგიის დეპარტამენტის 111 კურსის სტუდენტის მოხსენება: “კორუფცია პოსტრევოლუციურ საქართველოში” ეხებოდა მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის უდავო მიღწევებს განათლების, თავდაცვის, ეროვნული უსაფრთხოების, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროში გატარებულ რეფორმებს. ამავე დროს მოყვანილი იყო ფაქტები, სტატისტიკური მონაცემები თანხათა არამიზნობრივი ხარჯვების შესახებ, როგორც პრეზიდენტის ფონდიდან, ასევე სპეცფონდიდან. დასმულ შეკითხვათა უმრავლესობა ეხებოდა წყაროებს, რომელიც იყო გამოყენებული მოხსენებაში თუ რაოდენ სანდო საგაზეთო სტატიებსა და მონაცემებს ეყდნობოდა ავტორი.

ნინო ტოფაძის, პოლიტოლოგიის დეპარტამენტის 111 კურსის სტუდენტის მოხსენება: “კორუფცია ხელოვნებაში (საქართველოს საბალეტო სკოლის პრობლემები)” მოიცავდა ეღუარდ შევარდნადის პერიოდში არსებულ კორუფციის, ფულის გამოძალვისა და თანამდებობის ბოროტად და გულგრილად გამოყენებას ხელოვნების ისეთ მშვენიერ დარგში, როგორიცაა ბალეტი, კერძოდ კი საბალეტო სკოლაში. ნაშრომის ავტორი თვით გახდა არსებული კორუფციის მსხვერპლი, ამიტომ ზედმიწევნით კარგად იცოდა და აღწერა კორუფციული სქემები, რომელიც არსებობდა იქ.

ყველა მონაწილე აღიარებდა, რომ ჩატარდა მეტად საინტერესო და საჭირო კონფერენცია, რომელმაც ხელი შეუწყო სტუდენტთა პროფესიონალური დონის ამაღლებასა და დახვეწას.